



# ს აქართველო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება

Nº 140

ქალაქი ქუთაისი

30

ნოემბერი

2022 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და  
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების წუსხის დამტკიცების შესახებ“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის  
16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი  
პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული  
კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით  
გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი  
საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8  
დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და  
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების წუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში, კერძოდ:

1. ამოღებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი  
ობიექტების წუსხიდან №114; №170; №202; №221; №295; №296; №301; №372; №382; №408; №418; №420; №421; №426; №434;  
№443 პუნქტები.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების  
წუსხას დაემატოს №452 და №453 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)


მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მუურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო  
სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი შენგელია



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს 2022 წლის 30 ნოემბრის  
№ 140 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და  
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების წუსხა

Nº	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი
1	2	3	4	5
452	არასასოფლო-სამეურნეო დაწიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა №83-ის დასავლეთით	251.00	03.01.22.669
453	არასასოფლო-სამეურნეო დაწიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, განჯის ქუჩა №20-ის დასავლეთით	292.0	03.06.21.758

საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი შენგელია

